ო ქ მ ი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 29 აპრილი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: პ. ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: პ. ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციულ ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 მაისის N14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

6. 2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: პ. ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,
კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: პ. ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: პ. ცხადაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 31758,3 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 47800,1 ათასი ლარის ოდენობით. დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 967,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 784,0 ათასი ლარი - შემოსავალი მუხლიდან „გრანტები“, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; 28,0 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 31.12.2025 წლის N655 განკარგულება, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 155,0 ათასი ლარი - მუხლიდან „სხვა შემოსავლები“, „ჯარიმები, სანქციები და საურავები“; 2026 წლის

პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ბიუჯეტში აისახება 549,5 ათასი ლარი: ნაშთის 549,5 ათასი ლარი და შემოსავლების ზრდით მიღებული ასიგნებები 967,0 ათასი ლარი, სულ 1516,5 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" (პროგრამული კოდი 02 00) ასიგნებაზე 1488,5 ათასი ლარი, აქედან: 1488,5 ათასი ლარი პროგრამის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" (პროგრამული კოდი 02 04) ასიგნებაზე; პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 06 00) ასიგნებებზე 28,0 ათასი ლარი, აქედან: 28,0 ათასი ლარი პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება" (პროგრამული კოდი 06 01) ასიგნებაზე, აქედან: 28,0 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს სუბსიდია; ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში საქმისწარმოების საკითხებში გათვალისწინებულია 2 საშტატო ერთეული, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახით. ზემოთ აღნიშნული თანამდებობებისთვის განსაზღვრულია იდენტური ფუნქცია-მოვალეობები და ამ თანამდებობებზე დასაქმებული მოხელეები საჭიროებენ იდენტურ კომპეტენციებს და უნარებს. საქმისწარმოების საკითხებში დასაქმებულ მოხელეთა საქმიანობა ასევე გამოირჩევა მუდმივი დატვირთვით, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ორივე თანამდებობა განსაზღვრულიყო პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც ამავე სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა და საქმისწარმოების განყოფილებაში იქმნება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული ცვლილებების შემდგომ, შიდა კონკურსის საფუძველზე გამოთავისუფლებული თანამდებობა შესაძლებელია გაუქმდეს.

წარმოდგენილი პროექტით მერიის საშტატო ნუსხა რაოდენობრივად უცვლელია. პროექტის მიღება გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე - იზრდება სახელფასო ფონდი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობით - 480 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: პ. ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: პ. ცხადაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულ;ების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების

წლიური ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N21 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 23124,1 ათასი ლარის და საგასავლო ნაწილში 23124,1 ათასი ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 36491,4 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 43744,7 ათასი ლარი. 12807,6 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N11 ოქმს თან ერთვის)

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ლ. გვასალია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიის ორგანიზებით ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაციები, სადაც განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა 784000 ლარის ოდენობით, ხოლო პროექტების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების თანხა 36 სოფელზე ჯამურად 656 000 ლარის ოდენობით, ჯამში პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1440000 ლარს. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N12 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციულ ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 მაისის N14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ლ. გვასალია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციულ ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 მაისის N14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მომზადებულ ორთო ფოტოზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ქ. ხობში პიერ და ბადრი კობახიძეების ქუჩაზე მითითებულია 4 ჩიხი, რეალურად კი აღნიშნულ ქუჩას 5 ჩიხი უერთდება, შესაბამისად, მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციული ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისათვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 მაისის N14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, სადაც შესწორება შევიდა პიერ და ბადრი კობახიძეების ქუჩის ჩიხების ჩამონათვალში, ნაცვლად 4-სა, მიეთითა 5 ჩიხი, გადალაგდა ნუმერაცია რიგობრივად და არსებულ მე-3 და მე-4 ჩიხებს დაერქვა მე-4 და მე-5 ჩიხი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N13 ოქმს თან ერთვის)

6. „2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშის მოსმენა“.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: პ. ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: პ. ცხადაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში „2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში „2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ცნობად იქნა მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. მიმოზა ლემონჯავა
12. ქეთი კვირიკაშვილი
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. ანი ბუცხრიკიძე
16. მზია ლემონჯარია
17. გია წულაია
18. ზაზა ალექსანდრია
19. გაიოზ ქირია
20. ირაკლი ალანია
21. გიგა კაპანაძე
22. გურამი ქირია
23. გიორგი ბერაია
24. ზვიადი სულამანიძე
25. ალიოშა საჯაია
26. გიორგი გოგოხია